

რედაქცია: სოლოლოჯი, ბალის ქუჩაზე, ბ. შადინოვის სახლში, № 33.

ხელის-მოწერა მიიღება რედაქციაში. ბარეზე მცხოვრებთათვის: ВЪ Типографіи: Въ редакцію газ. „Дробиа“.

გაზეთის ღირებულება: მთელის წლისა—8 მან., ნახევარ წლისა—5 მან., სამის თვის—3 მან., ერთის თვისა—1 მან.

სალკე ნომერი ღირს შაურად.

დროება

ხუთშაბათი

ფასი განსხვავებისა. დიდ ასო-ებით ასობზე—1 კაპა, მცირე ასო-ებით სტრიქონზე—1 კაპა, ჩუქურთმის ცი-ცეროთი—1 კაპა, პატრუატი—1 კაპა.

რედაქციის უფლება აქვს გაასწოროს და შეამოწმოს დასაბეჭდათ გამოგზავნილი სტატიები. დასაბეჭდელი სტატიები ავტორს არ დაუბრუნდება.

ამ 1879 წელს გაზეთი

„დროება“

გამოვა მუდამ დღე და იმავე მიმართულებითა და პროგრამით, როგორც აქამდინ გამოდიოდა.

ხელის-მოწერა

მთელი წლის მიიღება რედაქციაში, ბალის ქუჩაზე ბ. შადინოვის სახლში, № 33.

ძალაქს გარეზე მცხოვრებთა გაზეთი ამ აღრესით უნდა დაიბაროს: ВЪ Типографіи: Въ редакцію газетъ „Дробиа“.

გაზეთის ფასი

- მთელის წლისა — — 8 მან.
- მკესის თვისა — — 5 მან.
- სამის თვისა — — 3 „
- ერთის თვისა — — 1 „

პირველი თებერვლიდან წლის დამთავრებამდე 7 მან.

შუალი გაზეთის დაბარებისა-თანავე უნდა იქმნეს რედაქციაში წარმოდგენილი.

საქართველო

დღიური

* * * მოგეხსენებათ, რომ ამ ჟამად ჩვენს ქალაქში ბევრი სხვა-და-სხვა ავთამყო-

ფელტონი

მოკლული ლეკები *)

მ. ლ. კ. ბ. ა. ზ. ე. დ.

მკმული ჰუსეინ მუჰამადისაგან

მოთაულები **) შეეყარა მობლიტელი

და ლაგვი, და ლაგვი, და ლაგვი,

ხუსუნელი, მხათელი, რომ ეთქვათ

ერთი არ გვქლია.

ჯორის კვალზე რომ ვავედით, ჩავედ-

გით ყველამ გზაში;

საგაციაზედ გავედით, წინ გავაგზავნეთ

ბარგია.

ბეგებმა ის არჩა, გაღმა მოუხდეთ სა-

ხლშია,

ბაიარხტრებმა იწყინეს: სახლზეგმისლა არ

გვარგია,

*) ეს ლექსები მივიღეთ ჩვენ თ. ბრ. ბუ-

რიელისაგან. ბევრიც სხვა მოგვივიდა მობლუეთ-

ში და ბურიაში შეკრებილი ლექსები; მაგრამ

მომეტებული ნაწილი ამთავანი სულ სასიყვარ-

ულლო ლექსებია.

***) ავაჯანები.

ფობა არის გავრცელებული და ექიმებს ბევრი საქმე გაუჩნდა. სწორედ ამ გარემოებას უნდა მივწეროს, რომ ძალაქის ექიმები ასე გადიდებულდნენ, რომ ისინი ამ უკანასკნელ დროს ასე უსინდისოთ ექცევიან თავიანთ ავთამყოფებს. — მართი არ იქნება, სხვა ბევრიაო! — ამბობენ ისინი, და ყველას გულ-აფარდნით ეპყრობიან.

მოგეყავს ორი მაგალითი: ძალაქში არის ერთი ექიმი, რომელიც ისეთი მახინჯია შესახედავით, რომ, უეჭველია, იმას ყველა შეამჩნევდა. მაგრამ ეტყობა, ეს ექიმი მარტო ტანით არ ყოფილა მახინჯი; ხასიათის სიმახინჯეც არ ჰქვლიდა..

ბაქურს გაზეთებში იყო ამას წინათ მოყვანილი, რომ ამ ექიმმა ჯიჯი გადაამტვრია თავზე ვილაღ დედა-კაცს, რომლის მოსარჩენათაც ის მიიპატივეს!

ბი მეორე ოინი ამავე ექიმისა, რომელიც შემოხსენებულს უკან არ ჩამოუყარდებო:

მართს ოჯახში მიიპატრუეს თურმე ეს ექიმი ავთამყოფის სანახად. შესვლისთანავე სადგომის მორთულობას და ივთამყოფის პატრონების ჩაცმულობას დაუწყა თურმე დათვალიერება და როგორღაც არ ეტყაშნიკა. ავთამყოფი დახედა ძალიან უგულოთ, და როცა წასვლის დროს ჰკითხე, თუ როდის მო-

ბრძანდებით კიდევო, პატრეცემულმა დოქტორმა პირ-და-პირ უთხრა თურმე, რომ, თუ თითო ვიზიტში ამ თავითვე, სამ-სამ მანეთს მაინც არ მომცემთ, ვერ ვივლი თქვენთანაო.

მეორე დოქტორმა (საუბედუროთ, ქართველმა) შემოუთვალა ერთს ავთამყოფს, რომელმაც დაპატიჟა ის საექიმოთ, რომ „ახლა სტუმრები მყავს არ მკალიან, ვერ მოვლო!“

ამისთანა „კანათლებული“ დოქტორების ხელში რა სიკეთე უნდა დაეყაროს ჩვენს ავთამყოფებს!

* * * * * თვალისის გუბერნიის უფლები-დამ კარგი ამბავი მოგვდის ტარასის შესახებ. თითქმის ყველგან დიდი თოვლი ყოფილა და ახლა გადნაო; მიწა ღრმით დასველდაო და ამის გამო მომავლის წლის მოსავალს ძალიან კარგი პირი უჩანსო.

* * * ჩვენ მივიღეთ სოფ. საგარეჯოდამ შექმნილი შენიშვნა გაზეთში დასაბეჭდათ: „სოფელ საგარეჯოში შესდგა „იერის ხეობის ჯანმრთელობის დამცველი საზოგადოება“, რომელსაც, თავის წესდების ძალით, მიზნათ აქვს, იხმაროს ყოველივე ღონის-ძიება ხალხის ჯანმრთელობის დაცვისათვის. ამ მიზნის შესასრულებლად მოიწვიეს დოქტორი უნიკო ხუდადოვი, რომელსაც ჯამაგირათ

ჯობს, რომე დაბლა დაუჯდეთ, არ გამოუშვით გზაშია..

წავედით და ჩვენ დავეჯდით ნატანებისა თვალშია..

რომ გათენდა, დავინახეთ სამი ჩამოჯდა ნაეშია;

სამმა ნავით გამოვიდა, ერთმა წელთამ-დი წყალშია;

ბავექანეთ და, ვეტაეთ შევედით მ. ლალ ბარდშია.

ბურიათლებმა შეიტყო, შეყარა ჯარი ხალხია,

როკნალზე წამოგვეწიენ, შეგვექნა თოფის ტაკია;

დალალული ჩამოგვეყარეს იქ მჩხამურის წყალშია.

ნაკაშიდემ დაგვიძახა: „რათ ამომადგეთ სახლშია!

„ნაკაშიდე და პრთომლადე ნაქებია სროლაშია,

„მაგრამ ჩემი დამსებისთვის სამსაც მოგტეხე ბაყია!“

მექორწილემ მოგვეგება: ბიჭო, რა გჭირს, რა გაკლია?

თუ ძმობა გწამს, დაგვეთხოვე, სული ხორცთან არ ავლია.

ბავექანოთ და ვეტაკოთ, დავანახოთ ანაკრია!..

დაჭრილებსა გვიშინჯვიდენ, ზოგს აქვს მხარი მოტეხილი, ზოგსა მხარის ლაეწია, მთხრობლად ვასლა არ გვეგონა, ყველამ ელოცოთ ღვეითია.

მობლუეთელი ზოდის ქალისაგან ხასან-ბეგ მთედგირიძისადმი მიწერილი, 1850 წ.

ბატონს ხასან-ბეგს მიერთვას უმორჩილებლით, თავმდაბლით, ბროლის ხელსა დაიჭიროს და წაიკითხოს ტკბილის ხმით... ბოზიერი, მეცნიერი თქვენ ბრძანდებით აგრე ღვეით.

ჩემო სიცოცხლის მომცემო, მომმატებელო ძალისა, ნიავ ყოველად შემკულო, ვარდო გაშლილო ქარისა, მათრის ძართლამდი ნაქებო, მაშენებელო გვარისა!

რა რომ გნახოს სულიერმა, შენთვის უნდა თავი ნაცულათ



დაუნიშნეს ას - ოცი თუმანი ფული (1,200 მან.). შუ. ხუდადოვი ეს ორი კვირაა, რაც მოვიდა საგარეჯოში და საცხოვრებელ ადგილათ აღმოიჩინა ეს სოფელი.

რადგან ამ საზოგადოებას ფული არა ჰქონდა ხელში, რომ დოქტორს აუთეკა გაემართა, ამიტომ ამ საქმეში დიდი შემწეობა აღმოუჩინა საზოგადოებას მღვდელმა **თევდორე ბუღისიძემ**: იმან ორმოცი თუმანი გადასცა საზოგადოებას, რათა ამ ფულით დოქტორს გაეხსნა პატარა აფთეკა, რომ ავთემყოფებს ესარგებლად წამლეულებით. ამ პატივცემულმა მღვდელმა გამოუცხადა საზოგადოებას, როცა თვითონ შეძლება ექნება, მხოლოდ მაშინ დაუბრუნონ ეს ფულები.

შინა მოგახსენოთ, რომ ჩვენს დოქტორს ისე მარჯვეთ მიჰყავს საქმე, რომ მრავალი მძიმე ავთემყოფები წამოაყენა ფეხზე ამ ორ კვირას. რამდენიმე ავთემყოფი, რომლებიც უფროთ იყვნენ ფილტვების ანთებით, ფეხზე წამოაყენა; ციებ-ცხელებით ავთემყოფები და ტყვიანები ხო მრავალნი. მათი სიტყვით, წინეთაც გწერდით, რომ საგარეჯოში დღე არ გაეიდოდა, რომ ორი და სამი არ გაეტანათ სასაფლაოზე; ამ ორ კვირაში მხოლოდ ერთის მეტი არ მომკვდარა, ისიც დიდი ხნის ავთემყოფი იყო. ხალხი დიდ აღტაცებაშია; ამ საზოგადოებას დღეში შეიდი და რეა ამხანაგი ემატება ყოვლის მხრივ მადლობა ისმის. მისურვებთ, რომ ბოლოსაც ასე კარგათ წავიდეს საქმე.

* * ჩვენ შევიტყუეთ, რომ ამ იანვრის 29-ს **თეოდოსის სხელოსნო** ბამგეობაში ყოფილა აღმოჩენილი ხალხის უსტაბაშებისა ამა 1879 წლისათვის, და სხვათა შორის ბულონისკებისა და კანდიტორების ამქარს აღმოუჩენია თავიან-

თი ძველივე უსტაბაში უ. ხუციშვილი, რომლისთვისაც არც ერთს ხელოვანს ამ ამქარისას შავი კენჭი არ ჩაუვლია.

„დროების“ კორექსიონდენცია

ალიზაბლო, 21 იანვარს. მე მესამე წელიწადია, რაც ძახის ადგილობრივი ნაჩაღნიკი უფ. ბ—სკი არის ჩვენში. ამ დროების განმავლობაში იმან ბევრში განფანტა ის სიბნელი, რომელიც ზედ აწვა ძაკის უჩასტკის სოფლებს; გამოაღვიძა დაძინებული გოგენ-კაცი: ინგილო, თათარი და ლეკი; შეასწავლა ის კანონები, რომლებიც არიან საჭარონი გოგენისთვის ცხოვრებაში; გაუზზავნა ყოველ თავის სამამასახლისოს ცირკულიარი, სადაც გამოკვლეული აქვს ყოველგვარი მხარეები გოგენის ცხოვრებისა—და ბოლოს აცხადებს, რომ ყოველ კვირა დღე ქრისტიან სოფლებში და პარასკეობით თათრებში კითხულობდნენ საჯამათოთ (სასოფლოთ), რასაც აქამომდე ასრულებდნენ.

შუ. ბ—სკიმ დააკეთებინა მშენებრი შოსსეს გზები, დაარგვევინა, ნაცულად გამხმარებისა, გზების ორსავე პირებზედ ის ხეხილები, რომლებიც იყო დარგულები ზაქათალის მაზრის ნაჩაღნიკის შოლკოვნიკოვის დროს. მღვებებისთვის მთავრობას დააბრუნებინა მამულები: ბაღები, ყაროლები და ვენახები, რომლებიც წართმეული ჰქონდათ, იმის წინამოადგილეების წყალობით, სომხებისგან ვალში. სოფლის სუდიებმა არ იცოდნენ ამის მოსელამდის თავიანთი თანამდებობის ასრულება ისე ცხადად, როგორც ეხლა იციან; მხოლოდ იცოდნენ ჯიბის გაგანიფრება და ცალ-ულოვი საჩივრების გადაჭრა იმათკენ, ვინც კი იქ-

ნებოდნენ მდიდარნი-ფულონი ნაჩაღნიკისა კი ამისთანა საქმეებს ვეღარა შეედავენ, რადგანაც ამისთანა ორნებს ჯეროვან ყურადღებას აქცევენ და წესიერთაც დასჯის ხოლმე სოფლის მოსამართლეებს. ამათაც გამოუზზავნა რუსულ და თათრულ ენაზედ ცალკე გამოკვლეული კანონები—შესახებ სასოფლო სუდიების თანამდებობისა.

ამავე უფ. ბოლ—კის შემწეობით **პოლიგლოში** და **პორაღანში** დარსდა პაწაწა შკოლები, რომლებიც თანდათან იზრდებიან და წარმატებაში შედიან. თავის ჯიბით უყრდა ამ შკოლებს ის ნივთები, რომლებიც ჯერ-ჯერობით იყვნენ საჭირონი ახალ შკოლებისთვის, მაგალითად კარანდაშები რამდენიმე დუყინი, პირახოცები, საპონი ხელ-პირის დასაბანათ, ასხიდის დოსკები, გრიფილები და საწერი ქაღალდი.

პი ამოდენა სარგებლობა მოუტანა ხალხსა და ასეთი მზრუნველი არის უ. ბოლ—კი შევიწროებულ გოგენის მდგომარეობისა.

მაგრამ რით გადაუხადა ხალხმა ამისთანა ღვაწლი უ. ბოლ—კი? რით შესწირა მადლობა? იმით რომ ზოგიერთ სინიდის გარეცხილ პირთ მოატყუილეს, გააბრიყვეს, ააჯანყეს რამდენიმე სოფელი და შეატანინეს საჩივარი უმაღლეს მთავრობასთან და სთხოვედნენ: „გაგვაცალეთ, ეს კარგი ნაიბი არ არისო“.

რათა, ახლა ჩვენ ჩვენთვის ვსთქვათ? მთლად საწყალი ხალხი და მომეტებული ნაწილი მდიდარნი, ვინც კი არიან კეთილ-სინიდისიანი, იყვნენ და დღესაც არიან კმაყოფილნი. აქამომდე აი ამას ამბობენ ბოლ—კიზედ: „**მა ბოლ—კი ნაიბი საიდგან გაჩნდა, ეს საიდგან მოგვევლინა იმ დალოცვილმა ღმერთმარო, რომ მამური მზრუნველობა აქვს ჩვენ-ზედაო, ასე კრიჭა შეუკრა ამ სომხებსაო, რომლებსაგანც მარტო სული-და**

დღეი მზერით ვერ გაეძეხი, ღამე ვიწვი შენთვის სამთლათ, რამაც ღედამ შენ კი გზობა, მას კი წახვა სული ნათლათ!

შინც კი გნახავს, თქვენ გენატრის, სხვა არ უჩანა თვალებსა. ღმერთო, თუ იმას შეგვეყარო, საწყალთა გავსცემთ ფარებსა! ნეტა რა დროში ვიქნები, გიღებდე თავს ქვეშ მკლავებსა, ბროლის გულსა ჩაგვნიო, ამოგიკოცნი თვალებსა!

პასუხი ხასან-ბეგი **თავდგირიძისაგან.**

ძალო, შენ გაქებს ყოველი ადამიანთა ენები, ზიხარ გონიერად გაზრდილი, ადგილათ არ იხსენები, **თვალ-წარბზე** ია ჩამოგდევს, ლოყაზე ვარდის ფერები, **ღეთის მადლმა** გულით მიყვარხარ, პირში არ მოგეფერები!

მოზულეთელი ასლან მესხიძის მიერ თავის მეზობლებზედ გამოთქმული სამტყვეოში, 1869 წ.

ბენაცვალეთ, მეზობლებო, თქვენდა ნაცულად ჩვენ წაველით, მითო საწყალი ძმები გყავს, თქვენთინ ჩაგვიბარებია, ხასან-ალას მივენდევით, მივეხვეით ორნივე ხელზე; **ბვილალატეს** და **დაგვკარგეს**, გაგვაგზავნეს შუაგულ ზღვაზე.

ხუთშაბათს სიხმარი ენახე, შემაჯღინეს ვითომ ცხენზე, პარასკევი რომ გათენდა, შეგვიყვანეს ხენთქრის გემზე! რაც ქალაქში კაცი იყო, ასიერეს ყველა ჩვენზე. **ღვინახეთ** სასამართლო, რას იკიდებთ ყილიფს წელზე?


ბათუმში რომ ჩაკვიყვანეს, ფაშამ წამოგვიდგა ფეხზე, რაც კი იყვენ იქ კაცები, დაგვიყენეს ყველა წკაპზე;

მც-და-ათი ვაჭი კაცი მუთი-ალას მიგვეცეს ხელზე შეგვიყვანეს სამტყვეოში, დაგვაქედეს რკინა ფეხზე.

შდაბნოში შეგვიყვანეს, ვეღარც დადგა კაცი ფეხზე, სტამბოლს გზავნას გვიპირობენ და საგძალი გვინდა ზურგზე. ძაკის გული კერპი არის, ნეტამც ვიყოთ ჩვენს ადგილზე! **ღმერთო**, იგი მოგვასწარი ვლოცვილობდეთ ჩვენს ჭამეზე *),

ალი-ფვენდ ხოჯათ იყოს, მუხურს *) დაკრავს ტყულ საქმეზე. მან სიცრუე იკადრა და ხარობს მტერი კიდევ ჩვენზე. ჩვენო ღედავ და მოყვარეე, ჩვენ ბრალდება არ გვაქვს თქვენზე, **იშალო**, გემსახურებით, თუ შევიძრეთ რკინა ფეხზე!

*) მკლავისა.
**) ბეჭედი.



გვერდსა შერჩენილიო! კაყოფილინი არ იყენენ ის პირნი, რომლებიც ჰყუთ, პატიოსნობით და ზნეობით იყენენ და არიან დაცემულნი. არ იყენენ კაყოფილნი იმისათვის, რომ შევიწროებული ღარიბის მდგომარეობა და საზოგადო სარგებლობა არად მიიჩნიათ და ყველგან თავისას მისდევენ. ეს პირნი ისინი არიან, რომლებიც უ. ბოლ—კის წინა-მოადგილეების დროს უმიზნებოთ აჭერინებდნენ გლეხ საწყალ კაცებს რამდენსამე დღეს და როდესაც აღებდნენ ქრთამებს, მაშინ ისევე განთავისუფლებდნენ ხოლმე.

აი ამისთანა ხალხს კრიკა შეუკრა უ. ბოლ—კიმ; უწინდებულად ეს პირნი ვეღარ მიდიოდნენ გზას; ამათმა ჯიბეებმა შეიტყეს ფულის მოკლება, სხვა საშუალებები ვერა მოიკონეს-რა და ეს იხერხეს. მნახოთ ამითაც რა იქნება!

მხლა ამისთანა საჩივრების გამო ხმა დავარდა, ვითომც უ. ბოლ—კი სხვაგან გადაჰყვანდეთ, რადგანც თვით ბოლ—კი მგონია ოფილისშია. ამის მტრებს ძრიელ უხარიათ... ოუ ეს ხმა გამართლდა, ისევ ის უყუღმართი ბედი დატრიალდება ძახის უჩაბტკის თავზედ, როგორიც წინათ ყოფილა. მაგრამ ჩვენის ფიქრით მთავრობა ისე არ მოგვიძულვებს, რომ ამისთანა პატიოსანი საზოგადო ინტერესის მზრუნველი და ჭეშმარიტების დამცველი პირი მოგვაშოროს. მარდა ამისა, თუ ეს ხმა გამართლდა, მაშინ ეს ჩვენი პაწაწა ახლად აღდგენილი შკოლებიც მალე გავგიქრებთან.

მის. ხუციშვილი

უცხო ქვეყნები

ინგლისი და ავღანი

ლონდონის გაზეთს „თაიმსში“ დაბეჭდილია შემდეგი ტელეგრამა ავღანიდამ მიღებული:

როგორც ეტყობა, იაკუბ-ხანთან ჩვენ ვერ მოვრიგდებით; ყველა ჩვენს მოთხოვნაზედ ის უარს ამბობს და ისმის კიდევაც, რომ ჯარს აგროვებს და საომრად ემზადება, ძაბულის დაცვას აპირებსო. ამბობენ, ვითომც მამა მისი შირ-ალი სწერს, რომ ძაბული უბრძოლველად არ დაგვიტოვოს. ამის გამო აქ ამბობენ, რომ ჩვენსა და ავღანელებს შუა ხელ-ახლად ბრძოლა დაიწყებაო.

საზრანგეთი

უკანასკნელის ფოჩტით მოსულს ფრანკო-სულს გაზეთებში მოყვანილია სრული სია ბრევის პირველი სამინისტროსი: მა დინ გ ტ ო ნ ი დანიშნულია სამინისტროს თავმჯდომარედ და გარე-შე საქმეთა მინისტრად, მ ა რ ს ე რ ი — შინაგანი საქმეების მინისტრად, ლ ე ო ნ ე — ფინანსის, ლ ე - რ ო ბ ი — უსტიციის, შ ი უ ლ ჟ ე რ რ ი — სახალხო განათლებისა, ბ ა რ დ უ — საწმენოების, ლ ე ბ ე რ ი — მეურნეობისა და ვაჭრობის, ჟ რ ე ის ი ნ ე — საზოგადო მუშაობისა, დენერალი ბ რ ე ს ლ ე — სამხედრო და აღმირალი შ ო რ ე გ ი ბ ე რ ი — ზღვის მინისტრად.

„ეს სამინისტრო მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნება ხანგრძლივი და მკვიდრიო ამბობს ვან. „ბელგიის ოფისუფლება“, თუ ყველა მინისტრები შემდეგ ოთხს საგანში მოთავსდებიანო: ეკონომიურ საგნების შესახებ, ამნისტოის, ბროჰლის სამინისტროს სამართალში მი ემისა და ნაციონალურ ძრებისა და სენატის პარიჟში გადმოტანის თაობაზედ.“

— ფრანკო-სულს გაზეთებში მოყვანილია შემდეგი სიტყვა, რომელიც წარმოუთქვამს ნაციონალური ძრების ახალ თავმჯდომარეს ბამბეტას, 27 თებერვალს, როდესაც იმან პირველად დაიწყო თავის თანამდებობის აღსრულება: „შუალრო დებუტატო!

„მადლობას მოგახსენებთ იმ საპატიო მოვალეობის მონიჭებისათვის და დანდობის გამოცხადებისათვის, რომლის ღირსი მე შევიქნი თქვენგანე.“

„მე ვიჭრ ადვილს დიდებულ მოქალაქისას (ბრევის), რომელიც თქვენ და თქვენთან ერთად მთელმა ხალხმა მოიხმეთ საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტად; ამ თანამდებობაში იმას მიუძღვის წინ ჩვენი ხალხის პატივისცემა, და ერთგულება პარლამენტისა.“

„ღეს ის ხალხის პირველ პირად ითვლება; აქ კი ის ჩემთვის მასწავლებელია და მაგალითის მომცემი. მეცდები იმის მაგალითს მივბაძო, ცუბცა იმედი კი არა მაქვს, რომ იმასავით შევასრულო ეს მძიმე მოვალეობა; ვეცდები გამოვიჩინო ყურადღება ყველა ბაისის ღროს, მიუღვამლობა პარტიებისა და დავიცვა სიტყვის თავისუფლება.“

„მე ამორჩეული ვარ რესპუბლიკური პარტიის უმრავლესობისაგან; მაგრამ არ დავიფიწყებ ჩემ მოვალეობას, რომელიც იმაში მდგომარეობს, რომ დავიცვა პალატის უმცირესობაც. იქედი მაქვს მხნეთ შევასრულო ეს მოვალეობა აქ, ამ პალატაში, რომელშიაც ყველა ვალდებულია პატივი სცეს და დამორჩილოს კონსტიტუციასა და რესპუბლიკისაგან დადგენილ უფლებას.“

„ქელანი ნათლად ვხედავთ ახლა, რომ რესპუბლიკის განსაცდელის დრო წავიდა. რესპუბლიკა გამარჯვებული დარჩა. ახლა დადგა დრო წარმატებისა და საქმის გაკეთებისა.“

„ამის გამო მე გთხოვთ უქვენ მთელი თქვენი დრო, ცოდნა, ნიჭი, ერთის სიტყვით მთელი თქვენი არსება მოახმაროთ ისეთს დიდებულს საგნებს, როგორიც არიან; შკოლის საქმე, სამხედრო ფინანსის, წარმოებას, ეკონომიური, რომლის დაწყევტას მოკლის თქვენგან ახალგაზდობა, ჯარი, მუშა, მწარმოებელი და ერთის სიტყვით, მთელი ჩვენი ხალხი.“

„ხალხისაგან დანდობილ პირნო, თქვენ შეასრულოთ ის საქმე, რომელიც ამომრჩეველებმა მოგანდეს; თქვენ დაიცევით რესპუბლიკა. აქავე ხალხს იმედი აქვს, რომ თქვენ სხვასაც შეასრულებთ და ამნაირად დაიცვათ მშვიდობიანობას, თავისუფლობასა და სამართლიანობას!“

ეს სიტყვა ისე მოეწონა ძრებს, რომ რამდენჯერმე ტაშის კვრით გააწყვეტი-

ნეს ორატორს და როცა გააფიქრებდა, დენიმე მინუტის განმავლობაში ტაშში არ შეჩერებულა.

რუსეთი

რდესის გაზეთებში დაბეჭდილია ტელეგრამა ბოლგარიაში მყოფი რუსის ჯარის შტაბის უფროსის თ. იმერეთინსკისა, რომელიც იწერება რომ 15 თებერვლამდინ დაბრუნდება რდესსაში და სევასტოპოლში ყველა რუსის ჯარები, რაც კი დასაბრუნებელი არისო.

— რუსეთის ტელეგრამების სიტყვით, ასტრახნის გუბერნიაში ქამი თან-და-თან ჰკლებულობს. მოგვხსენებთ, რომ ამ გუბერნიის საყარაულოთ და სამხლერების დასაცველად გაგზავნილ ჯარების უფროსად და აგრეთვე ამის მოსამხლერე სამი გუბერნიის დროებით დენერალ-ლუბერნატორად დანიშნულია დენ.-ადიუტ. გრაფი ლორის-მელიკოვი. ამის მოქმედებას და განკარგულებას რუსის გაზეთები ძალიან აქებენ და იმედსაც აცხადებენ, ისე მხნედ წაიყვანს საქმესო, რომ ეს საშინელი ტირი სხვა გუბერნიებში, იმედი, აღარ გავრცელდესო.

წერილი რედაქტორთან

ბატონო რედაქტორო!

შორჩილესად გთხოვთ ეს პატარ, ამბავი დამიბეჭდოთ თქვენ გაზეთშია იქნება ამის გამოაშკარებით მეშველოს რამე და ეშველოს აგრეთვე იმ საცოდავ ქალს, რომლის მდგომარეობას ქვემო მოყვანილიდამ შეიტყუბთ.

მე მიყვარდა, ბატონო, ერთი ზუვდიდელი მცხოვრების პაეღე შიქას ასული და, როგორც ვხედავდი და შემდეგშიაც დავრწმუნდი, იმასაც ძალიან უყვარდი.

საუბეროუროთ, იმის მამას არ მოვეწონე, ვერ მოვთავსდი იმასთან და არ მაძლევდა ქალს.

ზასული იანვრის უკანასკნელ რიცხვებში ჩემმა გულის და სულის დამწველმა ქალმა ერთი კაცის ხელით მომწერა, რომ მამა ჩემი ერთს ვილაცა ზულდ მ—რის მაძლევს ცოლათო და ყოველი ღონის-ძაება წართმეული მაქვსო, რომ უარი ვთქვაო, ხელ-ფხს მიკრავენ, ძალად მათხოვებენო.

უცხო ვინმე რომ ჰყოფილიყო, მაშინაც ვერ მოვიტომენდი ამითანა ამბავს; ამის გამო შევიტყე ეს ამბავი თუ არა, მაშინათვე გამოვემგზავრე ჩემი სახლიდამ, რომელიც გახლავს სენაკის უეზდის სოფ. ბანძას, და საღამოს მივედი ზუგდიდს. იმწამსვე გაუგზავნე კაცი ჩემს საყარელ ქალს, შევატუბინე, რომ მე აქა ვარ-მეთქი, ნუ გეშინია და თუ გინდა წამომეყვი, მე არც მზითვევი მინდა მაშინ-შენისაგან და არც სხვა არაფერი, ოღონდ გაბედე-მეთქი.

მაგრამ დახე ჩემს უბედურებას: სწორეთ ამ დროს ქალი მამას წაყვანა ეკლესიაში იმ ბ—რიაზე ჯვარის დასაწერად! ჩემი გაგზავნილი კაცაც ეკლესიაში შესულიყო და ენახა, რომ ცოცხალ-

